

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სკოლის სტატუსი

1. იუსტიციის უმაღლესი სკოლა (შემდგომში – სკოლა) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესდების საფუძველზე.

2. სკოლის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იუსტიციის უმაღლესი სკოლა.“

3. სკოლის დანიშნულებაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზადება, მოქმედი მოსამართლის პროფესიული სრულყოფისათვის მისი გადამზადება, აგრეთვე საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დასაკომპლექტებლად მოსამართლის თანაშემწეობის კანდიდატისა და სხვა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება.

4. სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კანონით და ამ წესდებით დადგენილი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5. სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა, ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.

6. სკოლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N19.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 11 თებერვლის N01/4-16 გადაწყვეტილება)

თავი II

სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

მუხლი 2. სკოლის მიზნები

სკოლის მიზნებია:

ა) იუსტიციის მსმენელის თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველყოფა;

ბ) იუსტიციის მსმენელის მიერ მომავალი პასუხისმგებლობისა და კანონით დადგენილ ფარგლებში მოქმედების თავისუფლების შეცნობის ხელშეწყობა;

გ) იუსტიციის მსმენელის ინტეგრირება იმ სოციალურ გარემოში, სადაც მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწევს საქმიანობა;

დ) მოქმედი მოსამართლის პროფესიული განვითარება და სრულყოფა;

ე) მოსამართლის თანაშემწეობის კანდიდატის, საერთო სასამართლოების სისტემის მოსამსახურის და სხვა სპეციალისტების პროფესიული მომზადება-გადამზადების უზრუნველყოფა.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2009 წლის 24 აპრილის N1/3 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

მუხლი 3. სკოლის ამოცანები

სკოლის ამოცანებია:

ა) იუსტიციის მსმენელის თეორიული კურსის, სტაჟირების და სემინარული მუშაობის პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება;

ბ) იუსტიციის მსმენელის და სკოლის სხვა პროგრამის მსმენელთა გამოცდების ორგანიზება-ჩატარება;

გ) სკოლის მსმენელთათვის და მოქმედი მოსამართლეებისათვის სკოლის ბაზაზე ბიბლიოთეკის შექმნა და პერიოდული განახლება;

დ) მოქმედი მოსამართლის გადამზადების პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლოს მოხელეთა მომზადების პროგრამის დამტკიცება და მომზადების კურსის განხორციელება;

ე¹) „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური შემოსავლების მიღების მიზნით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა სასწავლო პროგრამების განხორციელება.

ვ) მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და საერთო სასამართლოების სისტემის სხვა მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება;

ზ) პროკურორის, ადვოკატის და სხვა სპეციალისტების გადამზადების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება;

თ) „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2014 წლის 8 მაისის N01/1-14 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N01/10-16 გადაწყვეტილება)

თავი III

სკოლაში მიღება

მუხლი 4. სკოლაში მიღების პირობები

1. სკოლაში იუსტიციის მსმენელად მიღება ხდება კონკურსის წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ფორმით.

2. სკოლაში მისაღები კონკურსი, როგორც წესი, ტარდება წელიწადში ორჯერ – მაისსა და ოქტომბერში.

3. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

4. კონკურსი ცხადდება შესაბამისი თვის დადგომამდე არაუმეტეს, ერთი თვით და არანაკლებ, ორი კვირით ადრე, ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სკოლაში მისაღები კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით, სხვა დროს ჩატარების შესახებ, უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მაინც.

6. იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებისას. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება.

7. სარეგისტრაციო ვადის დაწყებამდე სამი დღით ადრე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმნის კონკურსის მომზადების სამდივნოს.

8. სამდივნო იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისაგან და მის მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

9. სამდივნოს ევალება კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება და მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება.

მუხლი 5. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება იუსტიციის მსმენელობის კანდიდატს რეგისტრაციისას

სკოლაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან, ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა და მისი ჩაბარებიდან არ არის გასული 10 წელი.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს N01/25-18 გადაწყვეტილება)

მუხლი 6. რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი საბუთები

სკოლაში მიღების მსურველმა კანდიდატმა კონკურსის მომზადების სამდივნოში რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- ა) განცხადება სკოლაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ბ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- გ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- დ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
- ე) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- ვ) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4 (ფერადი).

მუხლი 7. კანდიდატთა რეგისტრაციისა და კონკურსის ჩატარების ვადა

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო რეგისტრაციის დამთავრებიდან სამ დღეში აქვეყნებს მისაღებ კანდიდატთა სიას საკონკურსო ადგილების რაოდენობის მითითებით.

2. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს კონკურსს.

მუხლი 8. კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმები

1. კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევის კრიტერიუმებია:

ა) საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები;

ბ) მორალური რეპუტაცია;

გ) პიროვნული თვისებები;

დ) პროფესიული უნარ-ჩვევები;

ე) კვალიფიკაცია;

ვ) მტკიცებისა და გამოხატვის უნარი;

ზ) ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

2. შეფასების კრიტერიუმებში იგულისხმება:

ა) მორალური რეპუტაცია – საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი, ზნეობრივი და ეთიკური ნორმებისადმი დამოკიდებულება, მიუკერძოებლობა, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება;

ბ) პიროვნული თვისებები – გაწონასწორებულობა, სანდოობა, გულწრფელობა, კომუნიკაბელურობა, ხასიათის სიმტკიცე, ობიექტურობა;

გ) კვალიფიკაცია – მატერიალური და საპროცესო სამართლის, სასამართლო პრაქტიკისა და მეთოდის, კანონის ინტერპრეტაციის (განმარტების) მეთოდების ცოდნა, ასევე მისწრაფება სამართლებრივი ცოდნის გაღრმავებისაკენ, პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამეცნიერო ხარისხი;

დ) პროფესიული უნარ-ჩვევები – პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება, მონდომებულობა, მუშაობის ნაყოფიერება, პერსპექტიულობა; პირის უნარი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით, საფუძვლიანად, კეთილსინდისიერად და საიმედოდ; მიუდგეს საქმეს გეგმიურად, ეკონომიურად, კონცენტრირებულად და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებათა სხვა სფერო ჰარმონიულად შეუსადაგოს სამსახურებრივ ვალდებულებებს;

ე) მტკიცებისა და გამოხატვის უნარი – პირის უნარი, დამაჯერებელი არგუმენტებით დაიცვას და სათანადოდ წარმოაჩინოს საკუთარი თვალსაზრისი, რა დროსაც უნდა გამოიჩინოს კონსტრუქციულობა, ტაქტიანობა და თვითკრიტიკულობა; ცალსახად, კომპეტენტურად, გასაგებად, მოქნილად, კონცენტრირებულად და დამაჯერებლად გამოხატოს თავისი აზრი როგორც ზეპირად, ისე წერილობით; შემოიფარგლოს არსებითი განმარტებებით და მოახდინოს პრობლემის ამომწურავი არგუმენტირება;

ვ) ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი – პირის უნარი საქმის რთული, უცხო გარემოებები და ურთიერთკავშირები აღიქვას სწორად; ცხოვრებისეული ურთიერთობების სოციალური, ეკონომიკური და სხვა არაიურიდიული ფონის გათვალისწინებით, პროფესიული ცოდნის გამოყენებით გაანალიზოს და ლოგიკურად მოაწესრიგოს ისინი; კონცენტრირება გააკეთოს საქმის არსებით გარემოებებზე; სათანადო მომენტში საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს სწორი და საფუძვლიანი გადაწყვეტილება.

3. კანდიდატების შერჩევისას გამოიყენება შემდეგი სახის შეფასებები:

- ა) აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად;
- ბ) აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ;
- გ) შეესაბამება მოთხოვნებს;
- დ) შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად;
- ე) არ შეესაბამება მოთხოვნებს.

4. პიროვნული თვისებების კრიტერიუმის მიხედვით, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხვა კრიტერიუმების შეუფასებლად მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ავსებს კანდიდატის შეფასების ფურცელს, თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი 1).

მუხლი 8¹. იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის შერჩევა და შერჩევის ეტაპები

1. იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის შერჩევა ხდება წესდების მე-8 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების საკითხს განიხილავს ორ ეტაპად.

3. პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ამ კანდიდატების დაუსწრებლად. მეორე ეტაპზე გასვლის უფლება ეძლევა კანდიდატს, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცა დადებითი შეფასება.

4. იმ პირებს, რომლებიც არ იქნებიან დაშვებული მეორე ეტაპზე, ეხსნებათ იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის სტატუსი.

5. საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გასაუბრებაზე მოიწვიოს მხოლოდ მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2009 წლის 24 აპრილის N1/3 გადაწყვეტილება)

მუხლი 9. იუსტიციის მსმენელის მოწმობა

კონკურსის გავლის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლაში სასწავლებლად ჩარიცხულ პირს ენიჭება იუსტიციის მსმენელის სტატუსი. იუსტიციის მსმენელს სკოლაში სწავლის პერიოდში გადაეცემა იუსტიციის მსმენელობის დამადასტურებელი მოწმობა, რომლის ნიმუშსაც ამტკიცებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის N01/4-17 გადაწყვეტილება)

თავი IV

სკოლის სტრუქტურული ერთეულები, მასწავლებელთა საბჭო და მათი საქმიანობა

მუხლი 10. სკოლის სტრუქტურული ერთეულები

1. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ბ) სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- გ) ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დირექტორი.

3. სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება შეიქმნას სექტორი რომლის უფროსსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დირექტორი. სტრუქტურულ ერთეულებში სექტორების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის საშტატო განრიგით.

4. სკოლას გააჩნია ბათუმისა და წყალტუბოს რეგიონული სასწავლო ცენტრები.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N1/6 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 27 მარტის N01/1-15 გადაწყვეტილება)

მუხლი 11. სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ურთიერთობებს მათთან;

ბ) სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებისათვის შეიმუშავებს პროექტებს, კოორდინირებს და მონაწილეობს მათ განხორციელებაში;

გ) სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამზადებს ანგარიშებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის;

გ¹) საერთო სასამართლოების საჭიროებების ანალიზი;

გ²) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი;

გ³) საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი;

გ⁴) სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებისა და რეკომენდაციების ანალიზი;

გ⁵) განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებული სიახლეებისა და ტენდენციების ანალიზი;

გ⁶) განხორციელებულ ანალიტიკურ სამუშაოებზე დაყრდნობით, შესაბამისი ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება;

დ) უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან სკოლის ურთიერთობის კოორდინირებას;

ე) უზრუნველყოფს პრესკონფერენციებისა და საინფორმაციო ბრიფინგების ორგანიზებას;

ვ) უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებასა და პერიოდულ განახლებას;

ზ) უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში სკოლის გვერდების მართვას;

ზ¹) უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს სკოლის ვებპორტალების ადმინისტრირებას და ვებპორტალების მომხმარებელთა დახმარებას მისი გამოყენებისას;

თ) (ამოღებულია - 15.01.2016, №01/1-16);

ი) (ამოღებულია - 15.01.2016, №01/1-16);

კ) (ამოღებულია - 15.01.2016, №01/1-16);

ლ) ორგანიზებას უწევს სკოლის მიერ გამართულ ლექციებს, ტრენინგებს, სემინარებს და სხვა სახის სწავლებებს;

მ) სკოლის მსმენელებსა და სასწავლო პროგრამებში ჩართულ სხვა პირებს, ბიბლიოთეკის მეშვეობით უზრუნველყოფს ქართული და უცხოური ლიტერატურით;

ნ) ახორციელებს ამ წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

2. სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს სკოლის სამართლებრივ მომსახურებას, ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს, ამზადებს სხვადასხვა სამართლებრივი აქტებისა და დოკუმენტების პროექტებს;

ბ) დავის შემთხვევაში, წარმოადგენს სკოლას სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში;

ბ¹) ახორციელებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს სხდომების ორგანიზებას და სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ბ²) ახორციელებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების აღრიცხვასა და სისტემატიზაციას;

ბ³) ახორციელებს სკოლაში მიმდინარე გამოცდების სამართლებრივ უზრუნველყოფას, ორგანიზებას უწევს საგამოცდო ტესტების დამზადების პროცესს;

გ) ახორციელებს სკოლის სახელზე შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას, დამუშავებას, მათ დანიშნულებისამებრ გადაცემას, აგრეთვე, სხვა საკანცელარიო საქმიანობას;

დ) შეიმუშავებს წინადადებებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სტანდარტების შესახებ, ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, პირადი საკადრო საქმეების შედგენას, ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირებას და პერიოდულ განახლება-ანალიზს;

ე) შეიმუშავებს სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების (სამუშაო აღწერილობები) პროექტებს;

ე¹) ორგანიზებას უწევს და მართავს თანამშრომელთა შეფასების პროცესს;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს სკოლის შინაგანაწესის შესრულებას, აწარმოებს თანამშრომელთა და სკოლის მსმენელების სამუშაოზე/სასწავლო აქტივობებზე დასწრების მონიტორინგს, ამზადებს მსმენელთა სასწავლო აქტივობებზე დასწრებისა და დისციპლინის ანგარიშებს;

ზ) სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამზადებს დასკვნებს დისციპლინური გადაცდომის დადასტურების ან დაუდასტურებლობის შესახებ;

თ) შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ი) უზრუნველყოფს სკოლის ერთიანი საარქივო ფონდის კანონმდებლობით დადგენილი ვადით შენახვას, ცენტრალიზებულ აღრიცხვა-აღწერას, დაცვასა და დადგენილი წესით გამოყენებას;

კ) ახორციელებს ამ წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტის პროექტს და ბიუჯეტის შესრულების პერიოდულ ანგარიშებს;

ბ) ახორციელებს საბუღალტრო საქმიანობას ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს ბუღალტრულ ანგარიშებს, აწარმოებს ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთა ნუსხების, მათი გაანგარიშებებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტაციის შენახვას;

გ) უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა განაცემების, აგრეთვე მსმენელთა სახელმწიფო სტიპენდიების დარიცხვასა და დროულ გაცემას;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ხაზინასთან ურთიერთობას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობს ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარებაში, ასახავს ინვენტარიზაციის შედეგებს;

ვ) ახორციელებს სკოლის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტს, ორგანიზებას უწევს სახელმწიფო შესყიდვების პროცესს, უზრუნველყოფს მომწოდებელთან ხელშეკრულებების დადებას და აკონტროლებს დადებული ხელშეკრულების შესრულებას;

თ) უზრუნველყოფს სკოლის შენობა-ნაგებობებისა და მისი ტერიტორიების (ეზოების) მოვლასა და სკოლის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვას, ახორციელებს სკოლის მომარაგების ორგანიზებას და სამეურნეო უზრუნველყოფას;

თ¹) უზრუნველყოფს სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნისა და განვითარების შესახებ წინადადებების შემუშავებას, ინფორმაციული დაცვის საშუალებების დანერგვას და მომსახურებას;

თ²) უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომელთა სამუშაო ადგილების კომპიუტერული ტექნიკის გამართვას და მდგრად მუშაობას;

თ³) უზრუნველყოფს სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობას;

თ⁴) უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლის ვებგვერდის შექმნას, ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებასა და პერიოდულ განახლებას, ახდენს სკოლის ვებპორტალების ადმინისტრირებას და ვებპორტალების მომხმარებელთა დახმარებას მისი გამოყენებისას;

ი) ახორციელებს ამ წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

4. სკოლის რეგიონულ სასწავლო ცენტრებში იმართება სხვადასხვა სახის სემინარები, კონფერენციები, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე, აგრეთვე ხორციელდება სხვა ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის მიზნებთან და საქმიანობასთან.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N1/6 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 27 მარტის N01/1-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 15 იანვრის N01/1-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის N01/6-16 გადაწყვეტილება)

მუხლი 12. მასწავლებელთა საბჭო

1. სკოლის მასწავლებლები ქმნიან მასწავლებელთა საბჭოს, რომელიც:

ა) სკოლის დირექტორს მოთხოვნით ან საჭიროებისამებრ, საკუთარი ინიციატივით, სკოლის დირექტორს წარუდგენს ანგარიშს სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ბ) სკოლაში იუსტიციის მსმენელთა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და სრულყოფის მიზნით, შეიმუშავებს და სკოლის დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;

დ) ახორციელებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოსა და დირექციის ცალკეულ გადაწყვეტილებებს.

2. მასწავლებელთა საბჭო იკრიბება წელიწადში არანაკლებ, ერთხელ. მასწავლებელთა საბჭოს იწვევს და თავმჯდომარეობს სკოლის დირექტორის მოადგილე. მასწავლებელთა საბჭო მოიწვევა სკოლის დირექტორის მოადგილის ინიციატივით, სკოლის დირექტორის მოთხოვნით ან მასწავლებელთა საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ, ერთი მეხუთედის მოთხოვნით. სხდომის მოწვევის მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს სკოლის დირექტორის მოადგილე. სხდომის ამ ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში, სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს სკოლის დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, მასწავლებელთა საბჭოს უხუცესი წევრი.

3. მასწავლებელთა საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს ენიჭება უპირატესი ხმის უფლება.

4. მასწავლებელთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N1/6 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

მუხლი 12¹. სკოლის მასწავლებელთა შერჩევა

1. იუსტიციის მსმენელის სწავლებას წარმართავენ სკოლის მასწავლებლები, რომელთა შერჩევას არაუმეტეს, 2 (ორი) წლის ვადით ახორციელებს დამოუკიდებელი საბჭო. სკოლის მასწავლებლის შერჩევა ხდება სამართლის სფეროს ან/და სასაწავლო თემის/თემების მიხედვით.

2. დამოუკიდებელი საბჭო სკოლის მასწავლებლის შერჩევას, აფასებს მის პროფესიულ და პედაგოგიურ გამოცდილებას, მათ შორის, პედაგოგიურ გამოცდილებას იუსტიციის მსმენელის, მოქმედი მოსამართლის ან სასამართლოს მოხელის მომზადების ან/და გადამზადების მიმართულებით.

3. სკოლის მასწავლებლის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს დამოუკიდებელი საბჭოს ნებისმიერ წევრს. სკოლის მასწავლებლის არჩევა ხდება კენჭისყრით, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ, დამოუკიდებელი საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობისა.

4. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საჭირო ხმების რაოდენობა, კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგების მქონე ორ კანდიდატს. თუ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი აღმოჩნდა, მათ მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების გამო, კენჭი ეყრება ყველა ასეთ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას დააგროვებს.

5. სკოლის მასწავლებელთა არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, თუ დამოუკიდებელი საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ. ფარული კენჭისყრის ჩატარების წესი განისაზღვრება დამოუკიდებელი საბჭოს დებულებით.

6. ამ მუხლის წესები არ ვრცელდება იუსტიციის მსმენელთა სწავლების მიზნით პერიოდულად მოწვეულ სამართლის სხვადასხვა დარგის და დამხმარე დისციპლინების სპეციალისტებზე.

7. შერჩეულ სკოლის მასწავლებელთან სკოლის დირექტორი დებს შრომით ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, გადამზადების და სხვადასხვა სახის სასწავლო კურსების/მომზადების პროგრამების განხორციელებაში შეიძლება ჩაერთონ სკოლის მასწავლებლები ან/და მოწვეული სპეციალისტები.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)

თავი V სასწავლო პროცესი

მუხლი 13. სწავლების ხანგრძლივობა

1. სკოლაში სწავლების ხანგრძლივობაა 10 თვე. სრული სასწავლო კურსი მოიცავს თეორიულ კურსს, სტაჟირებას და სემინარულ მუშაობას.

2. იუსტიციის მსმენელისათვის, რომელსაც აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ, 10 წლის გამოცდილება, სრული სასწავლო კურსის ვადაა 6 თვე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თეორიული კურსის ხანგრძლივობაა ხუთი თვე, სტაჟირების – ოთხი თვე, სემინარული მუშაობის – ერთი თვე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თეორიული კურსის ხანგრძლივობაა 5 თვე, სტაჟირების – ნახევარი თვე, სემინარული მუშაობის – ნახევარი თვე.

5. მსმენელი თეორიული კურსისა და სკოლაში სწავლების დასასრულს აბარებს გამოცდებს.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2008 წლის 20 ნოემბრის N1/2 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2011 წლის 14 ივლისის N1/5 გადაწყვეტილება)

მუხლი 14. იუსტიციის მსმენელის დისციპლინა

1. იუსტიციის მსმენელი ვალდებულია სკოლაში სწავლის დროს დაიცვას დისციპლინის ნორმები, რომლის დარღვევა იწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. იუსტიციის მსმენელისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს განიხილავს და წყვეტს სკოლის დირექცია.

3. დისციპლინური დევნის განხორციელების წესი განისაზღვრება „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სკოლის შინაგანაწესით.

მუხლი. 14¹ იუსტიციის მსმენელების უზრუნველყოფა სასწავლო მასალით და ლიტერატურით

სკოლა უზრუნველყოფს იუსტიციის მსმენელებს შესაბამისი სასწავლო მასალით და ლიტერატურით. ბეჭდური სასწავლო მასალა და ლიტერატურა იუსტიციის მსმენელებს შეიძლება გადაეცეთ საკუთრებაში.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2014 წლის 8 მაისის N01/1-14 გადაწყვეტილება)

მუხლი. 14² სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვა სკოლის ვებპორტალის მეშვეობით

1. იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსის, საერთო სასამართლოების მოქმედ მოსამართლეთა და მოსამსახურეთა გადამზადების კურსების, აგრეთვე სასამართლოს მოხელეთა სპეციალური და სხვა კურსების მართვა შეიძლება მოხდეს სკოლის ვებპორტალის მეშვეობით.

2. სკოლის ვებპორტალის სტრუქტურა, ფუნქციონალები, მომხმარებლების რეგისტრაციის, ავტორიზაციის, ვებპორტალის ხელმისაწვდომობის, მისი გამოყენებისა და ადმინისტრირების წესები განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

მუხლი 15. თეორიული გამოცდის საგამოცდო კომისია

1. თეორიულ გამოცდას ატარებს საგამოცდო კომისია, რომლის შემადგენლობას სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის შემადგენლობიდან ირჩევს დამოუკიდებელი საბჭო.

2. საგამოცდო კომისია შედგება არანაკლებ, სამი წევრისა და კომისიის თავმჯდომარისაგან. საგამოცდო კომისიის წევრებად შეირჩევიან როგორც წესი, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტები.

3. კომისიის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოიწვიოს ექსპერტები.

4. საგამოცდო კომისიის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და გამოცდების ორგანიზების მიზნით, დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება თეორიული გამოცდის საგამოცდო კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობას სკოლის თანამშრომელებისგან განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

5. საგამოცდო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს ენიჭება უპირატესი ხმის უფლება. ეს წესი არ მოქმედებს თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის მეორე ეტაპის - ზეპირი გამოცდის შეფასებისას, რომლის დროსაც საგამოცდო კომისია შეფასებას ახორციელებს იუსტიციის მსმენელთა თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ზეპირი ფორმით ჩატარების წესით დადგენილი პროცედურით. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და სხდომის

მდივანი. გამოცდის შედეგების შესახებ, ასევე, ფორმდება საგამოცდო უწყისი, რომელიც დასტურდება საგამოცდო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების ხელმოწერით.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის N01/6-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N01/10-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 17 თებერვლის N01/3-17 გადაწყვეტილება)

მუხლი 16. თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩატარებისა და შეფასების წესი

1. თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩატარების მიზანია სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის შეფასება.

2. თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდა ტარდება ორ ეტაპად - ტესტური და ზეპირი ფორმით.

3. ტესტური გამოცდა, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად, ტარდება წერილობით ან ელექტრონულად, სკოლის ვებპორტალის გამოყენებით. საგამოცდო ტესტი შედგება სამართლის იმ დარგებიდან აღებული სამოცდაათი საკითხისგან, რომლებშიც მსმენელმა თეორიული მომზადება გაიარა. ტესტური გამოცდის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო, ხოლო საგამოცდო ტესტებს შეარჩევს საგამოცდო კომისია.

4. საგამოცდო ტესტის ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი, აღწერილობითი ნაწილი შეიცავს სამართლებრივი შემთხვევის აღწერას, ხოლო მეორე ნაწილი – ამ შემთხვევის სამართლებრივი გადაწყვეტის ოთხ შესაძლო ვარიანტს (პასუხს). გამოსაცდელის ამოცანა გამოიცნოს სწორი პასუხი და მონიშნოს ამ პასუხის აღმნიშვნელი ანბანის ასო/სიმბოლო საგამოცდო ტესტის პასუხებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფურცელში, ხოლო ტესტირების ვებპორტალის გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში, გამოსაცდელმა სწორი პასუხი უნდა მონიშნოს პროგრამულად.

5. ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი. გამოსაცდელმა უნდა მონიშნოს მხოლოდ ერთი პასუხი. თუ მონიშნულია ერთზე მეტი პასუხი ან არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, ტესტის ამოხსნა შეფასდება 0 (ნული) ქულით.

6. ტესტის ყოველ საკითხზე სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი – 0 (ნული) ქულით.

7. ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის ნული ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 70 (სამოცდაათი) ქულა. ტესტური გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ მსმენელი მოაგროვებს სულ მცირე, 50 (ორმოცდაათი) ქულას.

8. ტესტური გამოცდის სკოლის ვებპორტალის გამოყენებით ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში, ტესტური გამოცდის შედეგების დაჯამება ხდება ავტომატურად.

9. თუ მსმენელმა ტესტურ გამოცდაში მოაგროვა 45 ქულაზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ – 40 ქულისა, ასევე თუ მსმენელი არ სარგებლობს ამ წესდების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით მინიჭებული პრეტენზიის წარდგენის უფლებით ან მის მიერ წარდგენილი პრეტენზია არ დაკმაყოფილდება - საგამოცდო კომისია, მსმენელის განცხადების საფუძველზე, დამოუკიდებელი საბჭოს წინაშე აყენებს საკითხს მსმენელის დამატებით ტესტურ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების შესახებ. დამოუკიდებელი საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მსმენელის სკოლიდან გარიცხვის შესახებ;

ბ) მსმენელის დამატებით ტესტურ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების შესახებ.

10. თუ მსმენელმა ტესტურ გამოცდაში მოაგროვა 40 ქულაზე ნაკლები ქულა, იგი უპირობოდ გაირიცხება სკოლიდან.

11. ტესტური გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა ოთხი ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემთხვევაში, საგამოცდო კომისიისათვის გადაცემული ნამუშევარი არ გასწორდება და გამოსაცდელს დაეწერება შეფასება: 0 (ნული) ქულა. სკოლის ვებპორტალის გამოყენებით ტესტური გამოცდის ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში, ტესტური გამოცდისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ გამოსაცდელს ერთმევა საგამოცდო ტესტზე მუშაობის გაგრძელების უფლება.

12. ტესტური გამოცდის განმავლობაში, საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ მსმენელები გაფრთხილებას მიიღებენ ორჯერ – 30 წუთით და 15 წუთით ადრე.

13. მსმენელი თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შემდეგ ეტაპზე - ზეპირ გამოცდაზე გასვლის უფლებას იძენს მხოლოდ ტესტური გამოცდის ან დამატებითი ტესტური გამოცდის (თუ იგი ამავე მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაშვებულია დამატებით ტესტურ გამოცდაზე) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

14. ზეპირი გამოცდის დროს მსმენელი საგამოცდო კომისიის წინაშე პრეზენტაციის ფორმით წარადგენს საქართველოს საერთო სასამართლოებთან დაკავშირებით არსებული აქტუალური საკითხის კვლევის შედეგებს. რისთვისაც მას ეძლევა არაუმეტეს 30 წუთისა. 30 წუთის შემდეგ წარმოდგენილი პრეზენტაციის ნაწილი აღარ შეფასდება. სკოლა უზრუნველყოფს მსმენელის მიერ წარდგენილი პრეზენტაციის სრულ ვიდეო ჩაწერას.

15. ზეპირი გამოცდის ჩატარების წესი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

16. ზეპირი გამოცდის მინიმალური შეფასება არის ნული ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 30 (ოცდაათი) ქულა.

17. ზეპირი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ მსმენელი მოაგროვებს სულ მცირე, 20 (ოცი) ქულას. ზეპირი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მსმენელი გადადის სტაჟირების ეტაპზე.

18. თუ მსმენელი ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაშვებულ იქნება დამატებით ტესტურ გამოცდაზე და ვერ ჩააბარებს გამოცდას, ან თუ ზეპირ გამოცდაზე (საპრეტენზიო კომისიის შეფასების ჩათვლით) ვერ მიიღებს გამსვლელ ქულას, მას შეუჩერდება მსმენელის სტატუსი. აღნიშნულ მსმენელს უფლება აქვს, დამატებითი ტესტური გამოცდის ან ზეპირი გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, მიმართოს დამოუკიდებელ საბჭოს მომდევნო ჯგუფთან ერთად ერთჯერადად, თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდაზე ან მომდევნო ჯგუფთან ერთად, ერთჯერადად სრულ სასწავლო კურსზე დაშვების თაობაზე. დამოუკიდებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მსმენელის მომდევნო ჯგუფთან ერთად, თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების ან მომდევნო ჯგუფთან ერთად, ერთჯერადად სრულ სასწავლო კურსზე დაშვების თაობაზე, შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

- ა) მსმენელი პირველ ან/და დამატებით ტესტურ გამოცდაში მიიღებს არანაკლებ 45 ქულას;
- ბ) მსმენელის მიერ თეორიული კურსის არასაპატიოდ გაცდენილი დრო არ აღემატება 5 საათს;

19. თუ მსმენელი არ მოითხოვს მომდევნო ჯგუფთან ერთად ერთჯერადად, თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდაზე ან მომდევნო ჯგუფთან ერთად, ერთჯერადად სრულ სასწავლო კურსზე დაშვებას ან თუ დამოუკიდებელი საბჭო არ დააკმაყოფილებს მის შესაბამის მოთხოვნას, მას შეუწყდება მსმენელის სტატუსი.

20. მომდევნო ჯგუფთან ერთად თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვებული მსმენელი თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდას ჩააბარებს აღნიშნული ჯგუფის საგამოცდო პროგრამის შესაბამისად და დადგენილი წესით.

21. მსმენელის სტატუსის შეჩერების პერიოდში სახელმწიფო სტიპენდია არ გაიცემა.

22. თუ მსმენელი დაშვებულია მომდევნო ჯგუფთან ერთად სრულ სასწავლო კურსზე, მსმენელის სტატუსის განახლება მოხდება აღნიშნულ კურსზე სწავლის დაწყებიდან. თუ მსმენელი დაშვებულია მომდევნო ჯგუფთან ერთად თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდაზე, მსმენელის სტატუსის განახლება მოხდება მხოლოდ გამოცდის ორივე ეტაპის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. თუ მსმენელი ვერ ჩააბარებს აღნიშნულ გამოცდას, მას შეუწყდება მსმენელის სტატუსი. თუ მომდევნო ჯგუფთან ერთად თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდაზე დაშვებული მსმენელი წარმატებით ჩააბარებს გამოცდის ორივე ეტაპს, იგი აღნიშნულ ჯგუფთან ერთად გააგრძელებს სწავლას სავალდებულო სტაჟირების ეტაპიდან და მიეცემა სახელმწიფო სტიპენდია სწავლის გაგრძელების დღიდან.

23. მსმენელი, რომელიც დაშვებულია მომდევნო ჯგუფთან ერთად სრულ სასწავლო კურსზე და ასევე, მსმენელი, რომელიც მომდევნო ჯგუფთან ერთად თეორიული კურსის დამამთავრებელ გამოცდის ორივე ეტაპის წარმატებით ჩაბარების შედეგად აგრძელებს სწავლას მომდევნო ჯგუფთან ერთად შესაბამისი ეტაპიდან, არ ჩაითვლება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ მომდევნო ჯგუფის მისაღებ მსმენელთა ოდენობაში.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 11 თებერვლის N01/4-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის N01/8-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N01/10-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 17 თებერვლის N01/3-17 გადაწყვეტილება)

მუხლი 17. სავალდებულო სტაჟირება

1. თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარების შემდეგ, იუსტიციის მსმენელი გადის სავალდებულო სტაჟირებას. იუსტიციის მსმენელის მიერ სტაჟირებისას შესასრულებელი სამუშაოს სახეები და მეთოდოლოგია განისაზღვრება იუსტიციის მსმენელთა სასწავლო პროგრამით.

1¹. სტაჟირების ხელმძღვანელი სტაჟირების კოორდინატორობის კანდიდატებს შეარჩევს იმ ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სადაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი სტაჟირება. სტაჟირების კოორდინატორების შერჩევას, როგორც წესი, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის მიერ, შესაბამის თანამდებობაზე, უფლებამოსილების განხორციელების ხანგრძლივობა;

ბ) სტაჟირების კოორდინატორობის გამოცდილება;

გ) სტაჟირების პერიოდში სტაჟირების კოორდინატორის ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობა;

დ) კანდიდატის სურვილი შეასრულოს სტაჟირების კოორდინატორის ფუნქცია.

1². სტაჟირების კოორდინატორების შერჩევისას, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას იუსტიციის მსმენელთა გამოკითხვის საფუძველზე მიღებული სტაჟირების კოორდინატორთა შეფასების შედეგები.

2. სკოლის დირექტორი სტაჟირების ხელმძღვანელის წარდგინებით, შესაბამის ორგანოებში ნიშნავს სტაჟირების კოორდინატორებს.

3. სტაჟირების კოორდინატორი:

ა) წარმართავს და ზედამხედველობს იუსტიციის მსმენელის სტაჟირებას;

ბ) სტაჟირების დასასრულს, მასთან გამწესებულ იუსტიციის თითოეულ მსმენელზე ადგენს რეკომენდაციას (იუსტიციის მსმენელის დახასიათების ფორმას).

გ) სტაჟირების ხელმძღვანელს სტაჟირების დასასრულს, წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების პროგრამის შესრულების შესახებ.

4. სტაჟირების კოორდინატორი ყოველდღიურად ქულობრივად აფასებს იუსტიციის მსმენელის მიერ შესრულებულ სამუშაოს და აწარმოებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შეფასების ჟურნალს. სამუშაო დღის დასასრულს, სტაჟირების კოორდინატორი ჟურნალში აღნიშნავს იუსტიციის მსმენელის შეფასებას. იუსტიციის მსმენელი ფასდება ერთქულიანი სისტემით შემდეგი ხუთი დონის მიხედვით:

ა) მაღალი (მიზანი თითქმის სრულად არის მიღწეული. დავალებები თითქმის სრულად არის შესრულებული) - 1 ქულა;

ბ) საშუალოზე მაღალი (მიზანი მეტწილად, მიღწეულია. დავალებები მეტწილად შესრულებულია) - 0,75 ქულა;

გ) საშუალო (მიზანი გარკვეულწილად, მიღწეულია. დავალებები გარკვეულწილად შესრულებულია) - 0,50 ქულა;

დ) საშუალოზე დაბალი (მიზანი მინიმალურად, არის მიღწეული. დავალებები მინიმალურად არის შესრულებული) - 0,25 ქულა;

ე) დაბალი (მიზანი არ არის მიღწეული ან იუსტიციის მსმენელი არ გამოცხადდა სტაჟირებაზე. დავალებები სრულად შეცდომით არის შესრულებული) - 0 ქულა.

5. სტაჟირება იუსტიციის მსმენელის მიერ წარმატებით გავლილად ითვლება სტაჟირების მაქსიმალური ქულის არანაკლებ, 2/3-ის დაგროვების შემთხვევაში.

6. სტაჟირებაზე იუსტიციის მსმენელის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გაცდენილი სტაჟირების დღეების ნაცვლად, იგი სტაჟირებას გადის სხვა დღეებში. სტაჟირების გაცდენის საპატიოდ მიჩნევის წესი დგინდება ამ წესდებით და სკოლის შინაგანაწესით. გაცდენილი სტაჟირების დღეების სანაცვლოდ, სტაჟირების სხვა დღეებში გავლის განრიგი სტაჟირების კოორდინატორთან შეთანხმებით, დგინდება სკოლის დირექციის მიერ.

7. რეკომენდაციის ფორმას (იუსტიციის მსმენელის დახასიათების ფორმა), სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო. რეკომენდაციის ფორმა (იუსტიციის მსმენელის დახასიათების ფორმა) მოიცავს იუსტიციის მსმენელის შესახებ

შემდეგ ინფორმაციას: პიროვნული თვისებები; საქმისადმი დამოკიდებულება; გამოვლენილი პროფესიული თვისებები; შესრულებული სამუშაოს სახეები; გამოვლენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; გამოკვეთილი პრობლემები, მიღწეული წარმატებები და სტაჟირებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია; იუსტიციის მსმენელისათვის მიცემული რეკომენდაცია.

8. იუსტიციის მსმენელის სტაჟირების შეფასების ჟურნალის ან/და რეკომენდაციის ფორმის (იუსტიციის მსმენელის დახასიათების ფორმა) წარმოება შეიძლება მოხდეს სკოლის ვებპორტლის გამოყენებით ელექტრონულად, სკოლაში დადგენილი წესის შესაბამისად.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 29 დეკემბრის N01/9-15 გადაწყვეტილება)

მუხლი 18. სემინარული მუშაობა

1. სტაჟირების დასასრულს, სკოლა იუსტიციის მსმენელთათვის აწყოფს სემინარებს, რომელთა მიზანია თეორიული კურსისა და სტაჟირების გავლის დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განზოგადება, ასევე, სკოლის დამამთავრებელი გამოცდისათვის იუსტიციის მსმენელის მომზადება. სემინარებზე შესასრულებელი სამუშაოების სახეები და მეთოდოლოგია განისაზღვრება იუსტიციის მსმენელთა სასწავლო პროგრამით.

2. სემინარებს ატარებენ სკოლის მასწავლებლები ან მოწვეული სპეციალისტები.

3. სკოლის მასწავლებელი ან მოწვეული სპეციალისტი, იუსტიციის თითოეულ მსმენელზე ადგენს სემინარული მუშაობის აღწერის ფორმას. სემინარული მუშაობის აღწერის ფორმას სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო. იუსტიციის მსმენელის შესახებ სემინარული მუშაობის აღწერის ფორმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პიროვნული თვისებები; გამოვლენილი პროფესიული თვისებები; შესრულებული სამუშაოს სახეები; გამოვლენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; გამოკვეთილი პრობლემები, მიღწეული წარმატებები და სემინარულ მუშაობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

4. იუსტიციის მსმენელის სემინარული მუშაობის აღწერის ფორმის წარმოება შეიძლება მოხდეს სკოლის ვებპორტლის გამოყენებით ელექტრონულად, სკოლაში დადგენილი წესის შესაბამისად.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

მუხლი 19. სკოლის დამამთავრებელი გამოცდა

1. სკოლაში სწავლების დასასრულს, იუსტიციის მსმენელი აბარებს გამოცდას, რომლის დანიშნულებაც იუსტიციის მსმენელის მიერ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეფასება. დამამთავრებელი გამოცდა უნდა ჩატარდეს სწავლის დასრულებიდან არაუადრეს, 3 დღის გასვლის შემდეგ. გამოცდის თარიღის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო.

1.¹ დამამთავრებელ გამოცდას ატარებს საგამოცდო კომისია. დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული კომისიის სამი წევრი შედგება სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და

ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტებისგან. დამოუკიდებელი საბჭო კომისიის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

1². კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. გამოცდის შედეგების შესახებ ასევე, ფორმდება საგამოცდო უწყისი, რომელიც დასტურდება საგამოცდო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების ხელმოწერით. სკოლის ვებპორტალის გამოყენებით დამამთავრებელი გამოცდის ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში, გამოცდის შედეგები აისახება სკოლის ვებპორტალზე, სკოლაში დადგენილი წესების შესაბამისად.

1.³ საგამოცდო კომისიის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და გამოცდების ორგანიზების მიზნით, დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება დამამთავრებელი გამოცდის საგამოცდო კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობას სკოლის თანამშრომლებისგან განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

2. მსმენელს სასამართლო პრაქტიკიდან ეძლევა სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმე. მსმენელმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი კატეგორიის საქმე და მასზე უნდა შეადგინოს საპროცესო დოკუმენტების პროექტები.

2.¹ დამამთავრებელი გამოცდისათვის შერჩეული სასამართლო საქმის მასალები/კაზუსები, შერჩევის შემდეგ ილუქება და მისი გახსნა ხდება გამოცდის დღეს, გამოცდის დაწყებამდე არაუადრეს, 10 წუთისა. საგამოცდო მასალების დალუქვისა და დალუქული მასალების გახსნის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს, საგამოცდო კომისიის და საგამოცდო კომისიის სამდივნოს დამსწრე წევრები.

3. დამამთავრებელი გამოცდა ფასდება: საპროცესო დოკუმენტების შედგენის საპროცესო ნორმებთან შესაბამისობის, ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, დასაბუთებულობის, კანონიერი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

4. წერთი გამოცდის შეფასება:

ა) საპროცესო დოკუმენტების საპროცესო ნორმებთან შესაბამისობისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 20 (ოცი);

ბ) ფაქტობრივი გარემოებების სწორად შეფასებისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 30 (ოცდაათი);

გ) საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 20 (ოცი);

დ) კანონიერი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და სამართლის ნორმის ინტერპრეტაციისათვის: მინიმალური ქულა – 0 (ნული), მაქსიმალური ქულა – 30 (ოცდაათი).

5. წერთი გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა 7 ასტრონომიული საათი.

6. გამოსაცდელეები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ გაფრთხილებას მიიღებენ ორჯერ - 30 და 15 წუთით ადრე.

7. წერთ გამოცდაზე აკრძალულია კანონთა კომენტარებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება.

8. დამამთავრებელი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად თუ მსმენელი მოაგროვებს, სულ მცირე, 85 ქულას.

9. თუ მსმენელმა მოაგროვა 85 ქულაზე ნაკლები ქულა, მაგრამ არანაკლებ 70 ქულისა, მას უფლება აქვს, სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან, ხოლო თუ წარდგენილი აქვს პრეტენზია, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს დამოუკიდებელ საბჭოს მორიგ/დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე დაშვების თაობაზე. მსმენელის მორიგ/დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო.

10. (ამოღებულია - 11.02.2016, №01/4-16)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 11 თებერვლის N01/4-16 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის N01/6-16 გადაწყვეტილება)

მუხლი 20. საპრეტენზიო კომისია

1. თეორიული კურსისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც შედგება, როგორც წესი, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტებისგან.

3. პრეტენზია მიიღება გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო ორი დღის განმავლობაში, სკოლის დირექტორის მიერ სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ დროსა და ადგილზე. თუ პრეტენზიების მიღების დღე დაემთხვევა საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე ან/და დასვენების დღეებს, მიღება განხორციელდება აღნიშნულ დღეებშიც. დაგვიანებით შესული პრეტენზიები არ განიხილება.

4. ტესტური გამოცდის შედეგების გადასინჯვა, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა, 45 (ორმოცდახუთი) ქულა. ზეპირი გამოცდის (პრეზენტაციის) შედეგების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი მიიღებს 20 ქულაზე ნაკლებს. ზეპირი გამოცდის შედეგებზე მსმენელის პრეტენზიის განხილვისას, საპრეტენზიო კომისიას წარედგინება მსმენელის მიერ საგამოცდო კომისიის წინაშე წარდგენილი პრეზენტაციის ვიდეო ჩანაწერი. მსმენელს უფლება აქვს საპრეტენზიო კომისიას წარუდგინოს მის მიერ პრეზენტაციის დროს გამოყენებული მასალები.

5. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა, 80 (ოთხმოცი) ქულა.

6. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა ანონიმურია და შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.

7. საპრეტენზიო კომისიის მიერ პრეტენზიის განხილვისას, დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი, გარდა ზეპირი გამოცდის შედეგების გადასინჯვისა.

8. თეორიული კურსისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო კომისია საპრეტენზიო განცხადებაზე, მისი რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა აკეთებს შეფასებას. საპრეტენზიო განცხადებების გასწორების შემდეგ პრეტენზიების განხილვის შედეგების შეტანა უნდა მოხდეს საპრეტენზიო უწყისში, რომელიც დასტურდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. საპრეტენზიო კომისიის შეფასება საბოლოოა.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ნოემბრის N01/6-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N01/10-16 გადაწყვეტილება)

მუხლი 21. იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სია

1. სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთ თვეში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას.

2. საკვალიფიკაციო სიის შედგენის დროს კოეფიციენტით ჯამდება იუსტიციის მსმენელის:

ა) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია – 1;

ბ) სკოლაში თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია – 2;

გ) სტაჟირების გავლისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია – 3;

დ) სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტია – 4.

2¹. იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შემდეგ, იუსტიციის მსმენელს ეცნობება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

3. იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შემდეგ საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილ იუსტიციის მსმენელზე გაიცემა სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი - სერტიფიკატი, რომელშიც აღინიშნება, რომ მან გაიარა სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის - სერტიფიკატის ფორმას სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

4. (ამოღებულია - 10.03.2017, №01/4-17)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 მაისის N01/3-15 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის N01/4-17 გადაწყვეტილება)

მუხლი 22 ჯამური ქულის გამოყვანა

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა:

ა) ყ არის მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ქულა.

კომენტარი:

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ორსაფეხურიანია:

1. ტესტები, სადაც მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური – 100, გამსვლელი ქულაა 75.

2. წერთი გამოცდა, სადაც მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური – 25, გამსვლელი ქულაა 15;

ბ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მაქსიმალური ქულა, ტესტებისა და წერთი გამოცდის გათვალისწინებით, არის 100, რაც გამოითვლება შემდეგნაირად: $Y_{MAX} = (\text{ტესტური გამოცდის მაქსიმალური ქულის } 1/4 + \text{წერთი გამოცდის მაქსიმალური ქულა}) \times 2 = 100$;

გ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მინიმალური ქულა, ტესტებისა და წერთი გამოცდის გათვალისწინებით, არის 67,5, რაც გამოითვლება შემდეგნაირად: $Y_{Min} = (\text{ტესტური გამოცდის გამსვლელი ქულის } 1/4 + \text{წერთი გამოცდის გამსვლელი ქულა}) \times 2 = 67,5$;

დ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ქულის გამოთვლის წესი: $Y = (\text{ტესტებში მიღებული ქულის } 1/4 + \text{წერთ გამოცდაში მიღებული ქულა}) \times 2$.

მაგალითი: თუ მსმენელმა ტესტებში მიიღო 87 ქულა, ხოლო წერთ გამოცდაში 20 ქულა: $Y = (87\text{-ის } 1/4 + 20) \times 2 = 83,5$;

ე) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის კოეფიციენტი – 1.

2. თეორიული გამოცდა:

ა) Z არის თეორიულ გამოცდაში მიღებული ქულა - ზეპირ და ტესტურ გამოცდაში მიღებული ქულების ჯამი. თეორიული გამოცდის მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური – 100, ტესტურ გამოცდაში გამსვლელი ქულაა 50, ხოლო ზეპირ გამოცდაში გამსვლელი ქულაა 20;

ბ) თეორიული გამოცდის კოეფიციენტი 2.

3. სტაჟირება:

ა) X არის სტაჟირებაში მიღებული ქულა. სტაჟირების მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური – 86-88 (ოთხ თვეზე, ხუთდღიანი სამუშაო კვირის გათვლით). სტაჟირება დამაკმაყოფილებელია, თუ მსმენელის მიერ სტაჟირებაში დაგროვილ ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმალური ქულების 2/3-ს, ანუ 57-59 ქულას;

ბ) სტაჟირების საერთო ქულის გამოთვლის წესი: $X = \text{მიღებული ქულა} \times 100 / \text{მაქსიმალურ ქულაზე}$.

მაგალითი: თუ მსმენელმა სტაჟირებისას მიიღო 55 ქულა, სტაჟირების ქულა გამოითვლება: $X = 55 \times 100 / 86 = 63,95$ ან $X = 55 \times 100 / 88 = 62,5$;

გ) სტაჟირების მინიმალური ქულის გამოთვლა: $X_{Min} = \text{დამაკმაყოფილებელი ქულა} \times 100 / \text{მაქსიმალურ ქულაზე}$.

მაგალითი:

$$X_{\text{Min}} = [57 \times 100 / 86] = 66,27 \text{ (86-დღიანი სტაჟირების შემთხვევაში)}$$

$$X_{\text{Min}} = [59 \times 100 / 88] = 67,04 \text{ (88-დღიანი სტაჟირების შემთხვევაში);}$$

დ) სტაჟირების კოეფიციენტია 3.

3¹. ნახევართვიანი სტაჟირება:

ა) X არის სტაჟირებაში მიღებული ქულა. სტაჟირების მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური – 11-12. სტაჟირება დამაკმაყოფილებელია, თუ მსმენელის მიერ სტაჟირებაში დაგროვილი ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმალური ქულების 2/3-ს, ანუ 7.33-8 ქულას;

ბ) სტაჟირების საერთო ქულის გამოთვლის წესი: $X = \text{მიღებული ქულა} \times 100 / \text{მაქსიმალური ქულაზე}$.

მაგალითი: თუ მსმენელმა სტაჟირებისას მიიღო 9 ქულა, სტაჟირების ქულა გამოითვლება: $X = 9 \times 100 / 11 = 81,81$ ან $X = 9 \times 100 / 12 = 75$;

გ) სტაჟირების მინიმალური ქულის გამოთვლა: $X_{\text{Min}} = \text{დამაკმაყოფილებელი ქულა} \times 100 / \text{მაქსიმალური ქულაზე}$.

მაგალითი:

$$X_{\text{Min}} = [7.33 \times 100 / 11] = 66.63 \text{ (11-დღიანი სტაჟირების შემთხვევაში)}$$

$$X_{\text{Min}} = [8 \times 100 / 12] = 66.67 \text{ (12-დღიანი სტაჟირების შემთხვევაში);}$$

დ) სტაჟირების კოეფიციენტია 3.

4. დამამთავრებელი გამოცდა:

ა) K არის დამამთავრებელ გამოცდაში მიღებული ქულა. დამამთავრებელი გამოცდის მინიმალური ქულაა ნული, ხოლო მაქსიმალური – 100, გამსვლელი ქულაა 85;

ბ) დამამთავრებელი გამოცდის კოეფიციენტია 4.

5. ჯამური ქულის გამოყვანა:

N არის ჯამური ქულა. $N = (1Y + 2Z + 3X + 4K) / 100$.

6. საკვალიფიკაციო სიაში მსმენელთა ადგილი განისაზღვრება მათ მიერ მიღებული ჯამური ქულის სიდიდის მიხედვით. მსმენელთა მიერ თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში, სიაში მსმენელთა რიგითობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

ა) უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო დამამთავრებელ გამოცდაში;

ბ) დამამთავრებელ გამოცდაში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო სტაჟირებაში;

გ) სტაჟირებაში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო თეორიულ გამოცდაში;

დ) თეორიულ გამოცდაში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მსმენელს, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2008 წლის 20 ნოემბრის N1/2 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2009 წლის 24 აპრილის N1/3 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2011 წლის 14 ივლისის N1/5 გადაწყვეტილება)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N01/10-16 გადაწყვეტილება)

მუხლი 23. მოქმედ მოსამართლეთა გადამზადება

1. მოქმედ მოსამართლეთა გადამზადება ხორციელდება სხვადასხვა სახის სემინარის, სასწავლო კურსისა და კონფერენციის, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების, აგრეთვე, დისკუსიის მოწყობის გზით.

2. გადამზადების მიზნით, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მოიწვიოს სხვადასხვა დარგის ექსპერტები და სპეციალისტები.

3. მოწვეული ექსპერტები და სპეციალისტები გადამზადებას ახორციელებენ დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში.

4. მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში.

თავი VI

პროკურორთა და ადვოკატთა მონაწილეობა გადამზადების ღონისძიებაში

მუხლი 24. პროკურორთა და ადვოკატთა მონაწილეობა გადამზადების ღონისძიებაში

1. გადამზადების კურსების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება დაშვებულ იქნენ:

ა) პროკურორები – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წინასწარ შედგენილი სიისა და საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე;

ბ) ადვოკატები – ადვოკატთა ასოციაციის მიერ წინასწარ შედგენილი სიისა და აღმასრულებელი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

2. დასაშვებ პროკურორთა და ადვოკატთა რაოდენობას, ასევე, გადამზადების პროგრამებს ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)

მუხლი 25. მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და საერთო სასამართლოების სისტემის სხვა მოსამსახურეთა მონაწილეობა გადამზადების ღონისძიებაში

1. გადამზადების კურსების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და საერთო სასამართლოების სისტემის სხვა მოსამსახურეების დაშვება.

2. დასაშვებ კანდიდატთა რაოდენობას, ასევე, მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნის და საერთო სასამართლოების სისტემის სხვა მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამებს ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)

თავი VII

სკოლის მართვა და წარმომადგენლობა

მუხლი 26. სკოლის მართვის ორგანოები

სკოლის მართვის ორგანოებია დამოუკიდებელი საბჭო და სკოლის დირექცია.

მუხლი 27. დამოუკიდებელი საბჭო

1. სკოლის საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს, კოორდინაციას უწევს და მათ აღსრულებას ზედამხედველობს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო (შემდგომში – დამოუკიდებელი საბჭო), რომელიც იქმნება 6 წევრის შემადგენლობით.

2. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და კანონმდებლობით დადგენილი დამოუკიდებელი საბჭოს წევრის ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.

2¹. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად, დამოუკიდებელი საბჭოს წევრია, თავისი წევრებისგან 3 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ერთი და იგივე პირი დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ, მხოლოდ ორჯერ.

4. დამოუკიდებელი საბჭოს 5 წევრს, რომელთაგან 1 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრია, ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, 3 წლის ვადით.

5. დამოუკიდებელი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

6. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ, წელიწადში ორჯერ. სხდომას თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.

7. დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნა და გადაწყვეტილება ფორმდება ოქმების სახით, რომლებსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

8. დამოუკიდებელი საბჭო, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების გარდა:

ა) განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მიმართულებებს;

ბ) განსაზღვრავს გამოცდების ჩატარების მეთოდიკას;

გ) სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს სკოლის სიმბოლიკას;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის ფუნქციონირების საკითხებზე, თუ მათი გადაწყვეტა არ განეკუთვნება სკოლის დირექციის კომპეტენციას.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N/6 გადაწყვეტილება)

მუხლი 27¹ სკოლის დირექცია

1. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, სკოლის დირექტორის მოადგილისა და სტაჟირების ხელმძღვანელის შემადგენლობით.

2. სკოლის დირექცია:

ა) უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირებას, იუსტიციის მსმენელთა სასწავლო და გადამზადების კურსების წარმართვას;

ბ) უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას;

გ) შეიმუშავებს და ახორციელებს სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საერთო სასამართლოებთან;

დ) ახორციელებს „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N1/6 გადაწყვეტილება)

მუხლი 28. სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე

1. სკოლის დირექტორს ირჩევს დამოუკიდებელი საბჭო 5 წლის ვადით. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს ენიჭება უპირატესი ხმის უფლება.

2. სკოლის დირექტორი:

ა) წარმოადგენს სკოლას სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას და ასრულებს ამ წესდებით დადგენილ ფუნქციებს;

ბ) უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირებას, იუსტიციის მსმენელთა სასწავლო და გადამზადების კურსების წარმართვას;

გ) უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას;

დ) დამოუკიდებელ საბჭოს, სკოლის დირექციასა და მასწავლებელთა საბჭოსთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს;

ე) განსაზღვრავს სკოლის სამტატო ნუსხას და დასამტკიცებლად წარუდგენს დამოუკიდებელ საბჭოს;

ვ) განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის შემადგენლობას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ზ) განსაზღვრავს სკოლის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს დამოუკიდებელ საბჭოს, ხსნის და ხურავს საბანკო ანგარიშებს;

თ) სკოლის კანონმდებლობით დადგენილი მიზნებისა და საწესდებო ფუნქციების განხორციელების, ასევე, სკოლის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, მართავს სკოლის ფინანსურ სახსრებსა და სხვა მატერიალურ ქონებას და პასუხისმგებელია მათი მართებული გამოყენებისათვის;

თ¹) სკოლის ბიუჯეტის შესაბამისად, განსაზღვრავს საწვავის და საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტებს.

ი) ამ წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს, ამტკიცებს სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს (სამუშაო აღწერილობები) და სახელმძღვანელო ინსტრუქციებს;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს სკოლის თანამშრომლებს;

კ¹) წყვეტს სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს;

კ²) უფლებამოსილია სკოლის თანამშრომლებს ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის ან/და სამსახურში დროებით არმყოფი თანამშრომლის მოვალეობების შეთავსებით შესრულებისთვის, განუსაზღვროს დამატებითი საზღაური (დანამატი) სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესით;

ლ) დებს შრომით ხელშეკრულებებს სკოლის მასწავლებლებთან და მოწვეულ სპეციალისტებთან;

მ) იღებს გადაწყვეტილებებს შრომის პირობების გაუმჯობესების თაობაზე;

ნ) გამოსცემს ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტებს, განსაზღვრავს და ანაწილებს ფუნქციებსა და მოვალეობებს სკოლის მასწავლებლებს, მოწვეულ სპეციალისტებსა და თანამშრომლებს შორის, ხელს აწერს სკოლის დოკუმენტაციას;

ო) ასრულებს ამ წესდებით, სკოლის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სკოლის დირექტორის მოადგილე ასრულებს დირექტორის მოვალეობებს მისი დროებით არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ხოლო დირექტორის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობებს, დირექტორის დავალებით დროებით ასრულებს სკოლის ერთ - ერთი სტრუქტურული ერთეულის უფროსი. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისას/უფლებამოსილების შეწყვეტისას, ახალი დირექტორის არჩევამდე, სკოლის დირექტორის მოვალეობებს ასრულებს სკოლის დირექტორის მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს თავისი უფლებამოსილების ვადისა. ხოლო, მისი არ ყოფნისას, დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით - სკოლის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის უფროსი. დირექტორის მოადგილის უფლებამოსილებანი განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონით, ამ წესდებით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტით და საქართველოს კანონმდებლობით.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N1/6 გადაწყვეტილება)
(დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება)
(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის N01/7-15 გადაწყვეტილება)
(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის N01/6-16 გადაწყვეტილება)
(დამოუკიდებელი საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს N01/25-18 გადაწყვეტილება)

მუხლი 28.¹ სტაჟირების ხელმძღვანელი

სტაჟირების ხელმძღვანელი:

- ა) სკოლის დირექტორს დასანიშნად წარუდგენს სტაჟირების კოორდინატორს.
 - ბ) იუსტიციის მსმენელს განამწესებს სტაჟირების კოორდინატორთან.
 - გ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სტაჟირების პროცესს.
 - დ) სტაჟირების კოორდინატორების ქულობრივი შეფასებების საფუძველზე, ადგენს იუსტიციის მსმენელის სტაჟირების საერთო შეფასებას.
 - ე) სტაჟირების პროცესის სრულყოფის მიზნით, შეიმუშავებს და სკოლის დირექტორს წარუდგენს შესაბამის ანგარიშს და რეკომენდაციებს.
 - ვ) სტაჟირების წარმართვის შესახებ მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევს სტაჟირების კოორდინატორს.
 - ზ) ასრულებს სკოლის დირექტორის ცალკეულ დავალებებს.
 - თ) ასრულებს „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ წესდებით, სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციით (სამუშაო აღწერილობა) გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
- (დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება)*
(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება)

თავი VIII

სკოლის ქონება და დაფინანსება

მუხლი 29. სკოლის ქონება

1. სკოლა შექმნილია ლიკვიდირებული სამოსამართლო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.
2. ქონების შეძენა და გასხვისება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 30. სკოლის დაფინანსება

1. სკოლა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც საერთო სასამართლოების ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცალკე სტრიქონით.
2. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, სკოლას დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეუძლია მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური შემოსავლები ან მატერიალური დახმარებები.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა, სკოლის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- გ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი;
- დ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლები.

მუხლი 31. საბუღალტრო ანგარიშგება

სკოლა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IX

წესდებაში ცვლილებების შეტანა, სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 32. წესდებაში ცვლილებების შეტანა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


შეტანილი ცვლილებები:

1. დამოუკიდებელი საბჭოს 2008 წლის 20 ნოემბრის N1/2 გადაწყვეტილება
2. დამოუკიდებელი საბჭოს 2009 წლის 24 აპრილის N1/3 გადაწყვეტილება
3. დამოუკიდებელი საბჭოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/4 გადაწყვეტილება
4. დამოუკიდებელი საბჭოს 2011 წლის 14 ივლისის N1/5 გადაწყვეტილება
5. დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 27 აგვისტოს N1/6 გადაწყვეტილება
6. დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის N1/8 გადაწყვეტილება
7. დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის N1/9 გადაწყვეტილება
8. დამოუკიდებელი საბჭოს 2014 წლის 8 მაისის N01/1-14 გადაწყვეტილება
9. დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 27 მარტის N01/1-15 გადაწყვეტილება
10. დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 მაისის N01/3-15 გადაწყვეტილება
11. დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ივნისის N01/4-15 გადაწყვეტილება
12. დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 9 ნოემბრის N01/6-15 გადაწყვეტილება
13. დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის N01/7-15 გადაწყვეტილება
14. დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 29 დეკემბრის N01/9-15 გადაწყვეტილება
15. დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 15 იანვრის N01/1-16 გადაწყვეტილება
16. დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 11 თებერვლის N01/4-16 გადაწყვეტილება
17. დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის N01/6-16 გადაწყვეტილება
18. დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის N01/8-16 გადაწყვეტილება
19. დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის N01/10-16 გადაწყვეტილება
20. დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 17 თებერვლის N01/3-17 გადაწყვეტილება
21. დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის N01/4-17 გადაწყვეტილება
22. დამოუკიდებელი საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს N01/25-18 გადაწყვეტილება

იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის შეფასება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის
საიდენტიფიკაციო ნომერი _____

კანდიდატის სახელი, გვარი _____
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები:



საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები:

კონკურსზე მონაწილეობის რიგითობა:

შეფასების კრიტერიუმები

	შეფასების კრიტერიუმი	აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად	აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ	შეესებამება მოთხოვნებს	შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1	მორალური რეპუტაცია					
2	პიროვნული თვისებები					
3	კვალიფიკაცია					

4	პიროვნული უნარ- ჩვევები					
5	მტკიცებისა და გამოხატვის უნარი					
6	ანალიტიკურ- ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი					
საბოლოო შეფასება:		დადებითი		უარყოფითი		